ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

G E O R G I A

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA

SAKREBULO OF BATUMI CITY
MUNICIPALITY

N 1058-06
05/12/2014

1058-06-2-201412051618

საქართველოს პარლამენტის აპარატს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს 2014 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხელმძღვანელობს რა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნებით. დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი – ქ. ბათუმის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი. დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია. თვალსაჩინო ადგილას სპეციალურ საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია პასუხის-მგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონები, სამსახურებრივი ინსტრუქცია და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლების შესახებ“ სამართლებრივი აქტის ქსეროასლი.

2014 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე შემოსულია 41 წერილი საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვით:

- გაცემულია ინფორმაციების ქსეროასლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს A4 ფორმატის ქაღალდის 346 გვერდს და შესაბამისად გადახდილია მოსაკრებელი თანხა 17 ლარი და 30 თეთრი.
- გაცემულია ინფორმაციების ელექტრონული ვერსიები დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილ ელექტრონულ ფოსტებზე.
- პერიოდულად ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების განთავსება საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.batumicc.ge.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის და გასაჩივრების არც ერთ ფაქტს არ ჰქონია ადგილი.

პატივისცემით,

ირაკლი ჭეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

ბათუმის საკრებულო

6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
Batumi. L. Asatiani st. 25

ტელ: +995 (422) 27 90 01. ფაქსი: +995 (422) 27 01 96
Tel: +995 (422) 27 90 01. Fax: +995 (422) 27 01 96
E-mail: info@batumicc.ge